განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი

დოქტორანტურა

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 14.05.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 6.11.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი Business and Technology University კერძო სამართლის იურიდიული პირი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	405155638
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი Digital Governance and Artificial Intelligence
უმაღლესი განათლების საფეხური	(დოქტორანტურა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საჯარო მმართველობის დოქტორი Doctor of Public Administration

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება / Management and Administration, 0413
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	არაუმეტეს 60 ECTS-ის კრედიტი (სასწავლო კომპონენტი)
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დოლიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა არაბული, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	ია ნაცვლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

ქვეყანა)	უნივერისტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფარსადანიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლაშა ლალიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა „ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი“ დაგეგმილია განსახორციელებლად უსდ-ს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ფარგლებში. ფაკულტეტზე ამჟამად ხორციელდება უმაღლესი საფეხურის ერთი პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება. წარმოდგენილი პროგრამა ახალია, შესაბამისად, აკრედიტაცია არ აქვს მიღებული.

პროგრამის ხანგრძლოვობაა მინიმუმ3, მაქსიმუმ 5 სასწავლო წელი. სასწავლო კომპონენტი მოიცავს მაქსიმუმ 60 ECTS, სემესტრულად არაუმეტეს 30 კრედიტისა. პროგრამა შედგება სასწავლო კომპონენტისაგან, რომელშიც შედის სავალდებულო კურსები (მინ. 24 ECTS, მაქს. 42 ECTS) და არჩევითი კურსები (მინ. 18 ECTS, მაქს. 36 ECTS). პროგრამის შემაჯამებელ ნაწილს წარმოადგენს სადოქტორო ნაშრომი - დისერტაცია, რომელიც სრულდება საჯარო დაცვით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 14 მაისს, 10:00 საათიდან. COVID-19 პანდემიით შექმნილი განსაკუთრებული ვითარების გამო, ვიზიტი განხორციელდა ონლიან, zoom პლატფორმის გამოყენებით. დღის წესრიგის მიხედვით ჩატარდა შეხევდრები/გასაუბრებები პროგრამაში ჩართულ მხარეებთან, კერძოდ: უსდ-ს ადმინისტრაცია: რექტორი, კვალიფიკაციებისა და პროგრამული მიმართულებების განვითარების მრჩეველი; პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი: მათ შორის დეკანი, კარიერული განვითარების ცენტრი, საგარეო ურთიერთოების სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, აიტი, პროგრამის ხელმძღვანელი, საფინანსო, მარკეტინგი; პროგრამის ხელმძღვანელი; ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; აკადემიური და მოწვეული პერსონალი; მომიჯნავე სადოქტორო პროგრამის დოქტორანტები; მომიჯნავე სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები; დამსაქმებლები; ბიბლიოთეკის წარმომადგენელი.

ონლაინ ვიზიტის ფარგლებში, ბუნებრივია, ვერ განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები და ა.შ.) ადგილზე დათვალიერება. შესაბამისად, აღნიშნული რესურსების შესწავლა/ინფორმაციის დაზუსტება მოხდა მოწოდებული დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგების საფუძველზე. სამუშაო ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა, ამომწურავად ემსჯელა და ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და

არსებული წესის გათვალისწინებით პროგრამის სტანდარტები და კომპონენტები შემდეგნაირად არის შეფასებული:

	სტანდარტი	**შესაბამისობა**
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

  - პროგრამაზე მიღების უფრო გამჭვირვალე წინაპირობების ჩამოყალიბება, მათ შორის:
    - შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის თემატიკისა და საკითხების განსაზღვრა და კანდიდატებისათვის შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზურუნველყოფა; ასევე საჯარო პოლიტიკის ანალიზის საკითხების სატესტო საკითხებში დამატება;
    - მისაღები პროცედურების სხვადასხვა ეტაპის მიხედვით ქულების მინიჭების, რეიტინგული სიების დადგენის გამჭვირვალე სისტემის შექმნა; მისაღები პროცესის სხვადასხვა ეტაპებიდან გათავისუფლების შემთხვევაში შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება
  - გადაიხედოს შესაძლებლობა, პროგრამისათვის მენეჯმენტისა და ადმინისტრაციის კვალიფიკაციის მინიჭებისა, ან გაძლიერდეს სასწავლო კომპონენტში საჯარო მმართველობის და საჯარო პოლიტიკის სწავლება არასავალდებულო სტატუსით შესაბამისი კურსების დამატებით.
  - განისაზღვროს სამეცნიერო კვლევის პროექტისა და პროსპექტუსის დანიშნულება და შინაარსი, თუ ორივე ერთსა და იმავე კომპონენტს წარმოადგენს, დაზუსტდეს დასახელება და განესაზღვროს სავალდებულო სტატუსი. ასევე, განისაზღვროს სადოქტორო სემინარის შინაარსი და განსხვავდეს ის როგორც სამეცნიერო კვლევის

პროექტისა და პროსპექტუსისაგან, ასევე ზოგადად, სადისერტაციო ნაშრომის თემატიკისაგან.

- ძირითად სასწავლო კურსებში ერთზე მეტი სავალდებულო ლიტერატურის მითითება, მაგ> კურსი „ხელოვნური ინტელექტი როგორც მეცნიერება“
- სილაბუსების აგება არა მხოლოს ძირითადი სახელმძღვანელოების მიხედვით, არამედ დარგში უახლესი სამეცნიერო მიღწევების ამსახველი სტატიებითაც („ხელოვნური ინტელექტი, როგორც მეცნიერება“, „სადისერტაციო ნაშრომის დიზაინი და მენეჯმენტი“
- ძირითად კურსებში „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ და „კვლევის მეთოდები“, ძირითადი სახელმძღვანელოების შეადრებით ახალი გამოცემების გამოყენება

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- მისანიჭებელი კვალიფიკაცია ასახული იყოს პროგრამის დასახელებაშიც, მაგალითად, შემდეგი სახით: „ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში“.
- მეორე მიზანი დაზუსტდეს და ნაცვლად „საიმედო, გამჭვირვალე, სამართლიანი AI სისტემების შექმნა...“, ჩაიწეროს „საიმედო, გამჭვირვალე, სამართლიანი AI სისტემების პოლიტიკის შემნა...“
- პროგრამის შედეგების უკეთ გაზომვის მიზნით პროგრამის შედეგებში გამოყენებული იქნას მოქმედების გამომხატველი ზმნები არაუმეტეს ორი ზმნისა.
- პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შესაფასებლად გამოყენებულ იქნას სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის რომელიმე ერთი კონკრეტული კომპონენტი, რომელიც უსდ-ს გაწერილი აქვს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წესში (დოქტორანტურის დებულების დანართი).
- პროგრამაზე დაშვების პროცესის გამჭვირვალობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, გაიწეროს ყველა წინაპირობა, თუ ასეთები მართლაც იქნება გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების დროს, მაგალითად, კანდიდატთა პრაქტიკული გამოცდილება/დასაქმება პროგრამის კვალიფიკაციის შესაბამის დარგებში
- მიეთითოს სავალდებულო კრედიტების მინიმალური რაოდენობა პროგრამის მთლიანი სასწავლო კომპონენტისათვის (როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი კურსების ჩათვლით)
- დოქტორანტის სწავლების მეთოდებისა და პროფესორის ასისტირებიდან გათავისუფლების შემთხვევაში, უფრო ნათლად განიმარტოს ასეთ შემთხვევებში საჭირო კრედიტების მინიჭების და დოქტორანტის სწავლების უნარის შეფასების მექანიზმები

- სადოქტორო სემინარი განისაზღვროს როგორც პროგრამის არა კვლევითი, არამედ სასწავლო კომპონენტი
- სილაბუსებში გვერდების საერთო რაოდენობის მითითება ძირითად სახელმძღვანელოებში, რაც შესაძლებელს გახდის სტუდენტის სასწავლო დატვირთვის/კრედიტების გაანგარიშების ადეკვატურობის შეფასებას.
- დოკუმენტში „სადოქტორო ნაშრომის დაცვა" დაზუსტდეს და განივრცოს ტრანსფერული უნარები და კომპეტენციები, რომელთა განვითარებაშიც სადოქტორო კვლევა ხელს უწყობს დოქტორანტს.
- ფაკულტეტმა ყოველი სემესტრის დასაწყისში შეადგინოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის განრიგი დეპარტამენტების მიხედვით და განათავსოს ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.
- სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობის მისანიჭებელი კვალიფიკაციის - საჯარო მმართველობის - მიმართულებით აფილირებული პერსონალით გაძლიერება.
- დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და დამსაქმებლებიდან მისაღები გარე შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- დაწესებულებაში არსებული პრაქტიკის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებასთან ერთად მოიცავს ESG-2015-ის, თუნინგის და ISO 9001:2015 მიდგომების საფუძველზე განხორციელებულ შეფასებასაც.

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა „ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი“ ახალია, შეესაბამება ბტუ-ს მისიას, მიზნებსა და განვითარების სტრატეგიულ გეგმას, ითვალისწინებს საერთაშორისო დარგობრივი ორგანიზაციების მოთხოვნებს, და ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის განვითარების ტენდეციებს. მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულების მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება საჯარო მმართველობის კვალიფიკაცია. შესაბამისად, ექსპერტებს სასურველად მიაჩნიათ, აღნიშნული კვალიფიკაცია ასახული იყოს პროგრამის დასახელებაშიც, მაგალითად, შემდეგი სახით: „ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში“. პროგრამის მიზნებია: ა) სახელმწიფო ორგანოებს, კერძო სუბიექტებსა და მოქალაქეებს შორის თანამშრომლობის ახალი მექანიზმების ამოქმედების მიზნით საზოგადოებაზე AI-ს (Artificial Intelligence / ხელოვნური ინტელექტი) და ახალი ციფრული ტექნოლოგიების გავლენის გათვალისწინებით მონაცემთა დამუშავების და მომსახურეობის მიწოდების მიდგომების შემუშავებას; ბ) საიმედო, გამჭვირვალე, სამართლიანი AI სისტემების შექმნის მიზნით სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი და ეთიკური საფრთხეების პროგნოზირებას, მონაცემთა მართვის, მათ შორის კიბერუსაფრთხოების და ეთიკური ასპექტების, სამართლებრივი აქტების ანალიზს და მათ გათვალისწინებას; გ) დოქტორანტს ექნება მის მიერ შერჩეულ კვლევის სფეროში ეთიკური და აკადემიური სტანდარტების დაცვით ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელების,

პროფესიულ, აკადემიურ და სწავლების კონტექსტში ახალი ცოდნის გაზიარების შესაძლებლობა. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, თუმცა გვაქვს მოსაზრება მეორე მიზანთან დაკავშირებით. სასურველია დაზუსტდეს რას გულისხმობს „საიმედო, გამჭვირვალე, სამართლიანი AI სისტემების შექმნა...“, რადგან გასაუბრებისას და პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე საუბარია არა ხელოვნული ინტელექტის სისტემის შექმნაზე, არამედ ხელოვნური ინტელექტის სისტემების პოლიტიკის/სტანდარტების შექმნაზე. პროგრამა შემუშავებულია უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის და დამსაქმებლების აქტიური ჩართულობით. პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში პროგრამა საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით იგი განთავსდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის მიზნები და მისია; • უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა (2019-2025) https://drive.google.com/file/d/14-9s_LAQPYcYdxP1q23inzcPRGXzRCpS/view; • საგანმანათლებლო პროგრამა; • შრომის ბაზრის ანალიზი; • საერთაშორისო თანამშრომლობა; • ინტერვიუს შედეგები; • ვებ გვერდი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • მისანიჭებელი კვალიფიკაცია ასახული იყოს პროგრამის დასახელებაშიც, მაგალითად, შემდეგი სახით: „ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში“. • მეორე მიზანი დაზუსტდეს და ნაცვლად „საიმედო, გამჭვირვალე, სამართლიანი AI სისტემების შექმნა...“, ჩაიწეროს „საიმედო, გამჭვირვალე, სამართლიანი AI სისტემების პოლიტიკის შემნა...“

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის „ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი" სწავლის შედეგები განსაზღვრულია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მესამე საფეხურის აღმწერის მიხედვით და შეესაბამება პროგრამის მიზანს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, თუმცა კითხვა ჩნდება თავად პროგრამის შესაბამისობის თაობაზე მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, რაც დეტალურად განხილულია მე-2 სტანდარტში.

პროგრამას გააჩნია 6 სწავლის შედეგი, რომლებიც აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას, ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. სწავლის შედეგები მიღწევადი, რეალისტური და მეტწილად გაზომვადია. სწავლის შედეგები იძლევა დასაქმების შესაძლებლობას და შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს. სწავლის შედეგების შედგენის პროცესში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალი, შესაბამისი სფეროს დამსაქმებლები. სწავლის

შედეგების შეფასება ხორციელდება ყოველი საგნის სწავლის შედეგების მიღწევადობის დონის მიხედვით. პროგრამაში წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის რუკა, სადაც ნაჩვენებია, თუ რომელი სასწავლო კურსით რომელი პროგრამის შედეგის მიღწევა ხდება.

უნივერსიტეტში არსებობს სწავლის შედეგების შეფასების განსაზღვრული მექანიზმი. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებულია ორი ძირითადი მიდგომა: პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდები. არაპირდაპირი გაზომვის მეთოდი გულისხმობს დოქტორანტების და დამსაქმებლების გამოკითხვას და ამ შედეგების ანალიზის გზით პროგრამაში დასახული სწავლის შედეგების გაზომვას. პირდაპირი შეფასების მეთოდის მეშვეობით მოწმდება, მიაღწია თუ არა დოქტორანტა პროგრამის სწავლის შედეგს მის მიერ შესრულებული დავალების მეშვეობით: პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდება იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის განმტკიცება. შესაბამის რუკებში განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა; დოქტორანტთა რაოდენობა, სამიზნე ნიშნულები და სხვ. პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად ყოველი საგნის სილაბუსში გაწერიალია სწავლის შედეგები, ყოველი სწავლის შედეგისთვის კი შერჩეულია შესაბამისი შეფასების მეთოდი. სწავლის შედეგების ანალიზი იქნება გაზიარებული პროგრამაში მონაწილე პერსონალისთვის. ამ პროცესის მიზანია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხის გაუმჯობესება ცალკეული სასწავლო კურსის და მთელი პროგრამის დონეზე. მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი დროულად იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს სწავლის შედეგს. პროგრამას გააჩნია სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის.

სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალი, იცნობს პროგრამის შედეგებს და მათი შეფასების ინსტრუმენტებს.

დამსაქმებლები ჩართული იყვნენ პროგრამის შემუშავებაში. რეგულარულად იმართებოდა შეხვედრები ონლაინ რეჟიმში, ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ პროგრამაში და კურსების შინაარსში გათვალისწინებული იქნა მათი რეკომენდაციები.

პროგრამის შედეგებთან დაკავშირებით ექსპერტებმა გამოთქვეს შემდეგი მოსაზრება:

პროგრამის შედეგების უკეთ გაზომვის მიზნით სასურველია პროგრამის შედეგებში გამოყენებული იქნას მოქმედების გამომხატველი ზმნები არაუმეტეს ორი ზმნისა. იქნას ასევე, სასურველია პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შესაფასებლად გამოყენებულ იქნას სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის რომელიმე ერთი კონკრეტული კომპონენტი, რომელიც უსდ-ს გაწერილი აქვს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წესში (დოქტორანტურის დებულების დანართი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა

• სილაბუსები • ინტერვიუს შედეგები • საგანმანათლებლო პროგრამის რუკა • ბტუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია: https://btu.edu.ge/ka/chven-shesakheb/maregulirebeli-dokumentebi • სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წესი (დოქტორანტურის დებულების დანართი).
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • პროგრამის შედეგების უკეთ გაზომვის მიზნით, პროგრამის შედეგებში გამოყენებული იქნას მოქმედების გამომხატველი ზმნები არაუმეტეს ორი ზმნისა. • პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შესაფასებლად გამოყენებულ იქნას სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის რომელიმე ერთი კონკრეტული კომპონენტი, რომელიც უსდ-ს გაწერილი აქვს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წესში (დოქტორანტურის დებულების დანართი).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სწავლების წინა საფეხურის გათვალისწინებით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯარო და ხელმისაწვდომია უსდ-ს ვებ-გვერდზე.

პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება კონკურსის საფუძველზე; პროგრამაზე მიიღება არაუმეტეს 5 დოქტორანტისა; ჩარიცხვის პროცედურა 5 ეტაპს მოიცავს: შესაბამისი საბუთების წარდგენის გარდა, პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობა; არაქართულენოვანი კანდიდატისათვის ქართული ენის B2 დონეზე ფლობა; შიდასაუნივერსიტეტო გამოცდისა და საკონკურსო დარგობრივ კომისიასთან გასაუბრების გავლა სადოქტორო კვლევის თემატიკისა და ხედვის შესახებ.

აკრედიტაციის ექსპერტთათვის საყურადღებო გახდა შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ეტაპი, რომელიც, პროგრამის აღწერისა და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, მოიცავს

საინფორმაციო ტექნოლოგიების, სამართლის/სამართალმცოდნეობის და საჯარო მმართველობის სფეროს შესაბამის საკითხებს. დოკუმენტებიდან არ არის ცხადი, კონკრეტულად რა ფორმა ექნება გამოცდას - ტესტირება, ზეპირი გამოკითხვა თუ სხვა. ასევე, არ არის ზუსტად განსაზღვრული სატესტო საკითხები. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს ექსპერტებს ეცნობათ, რომ გამოცდას ექნება ტესტირების ფორმა, ხოლო სატესტო საკითხები მომავალი სასწავლო წლის მიღებისათვის დამუშავებულია და შედგენილია იმგვარად, რომ შეამოწმოს კანდიდატის ცოდნა ზემოთ აღნიშნულ სფეროებში. გარდა ამისა აღნიშნულია, რომ გამოცდის კონკრეტული კომპონენტის ჩაბარებისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუ მისი კვალიფიკაცია (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) მიეკუთვნება შიდასაუნივერსიტეტი გამოცდის კონკრეტული კომპონენტის სფეროს და მოთხოვნილი საკითხების ცოდნა დასტურდება დიპლომის დანართით/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობით; ასევე, ინტერვიუს პროცესში ითქვა, რომ პროგრამაზე მიღების ერთ-ერთ წინაპირობად იქნება კანდიდატთა პრაქტიკული გამოცდილება აღნიშნულ სფეროებში, რაც პროგრამის აღწერასა თუ სხვა დოკუმენტებში არ ჩანს. ექსპერტების მოსაზრებით, პროგრამაზე დაშვების პროცესის გამჭვირვალობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, სასურველია, გაიწეროს ყველა წინაპირობა, თუ ასეთები მართლაც იქნება გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების დროს, მაგალითად, კანდიდატთა პრაქტიკული გამოცდილება/დასაქმება პროგრამის კვალიფიკაციის შესაბამის დარგებში; დეტალურად იყოს განმარტებული, როგორ იწერება ქულები ჩარიცხვის პროცესის თითოეულ ეტაპზე და, შესაბამისად, როგორ ხდება ქულების დაანგარიშება, თუ რომელიმე კანდიდატი გათავისუფლდება შიდასაუნივერსიტეტო გამოცდისაგან. გარდა ამისა, რადგანაც პროგრამა საჯარო მმართველობის კვალიფიკაციით გადის, ექსპერტთა აზრით, კანდიდატის საჯარო მმართველობის კომპეტენციის დონის დადგენა უფრო სიღრმისეულად უნდა ხდებოდეს, მით უმეტეს, რომ პროგრამის სასწავლო კომპონენტში საჯარო მმართველობის საკითხების საფუძვლიანი შესწავლა არ არის გათვალისწინებული (საჯარო მმართველობის საკითხებ მხოლოდ ერთი კურსი ეხება - ციფრული მმართველობა). ექსპერტთა აზრით, აუცილებელია, დაშვების ეტაპზე შეფასდეს კანდიდატის ცოდნა საჯარო პოლიტიკის ანალიზის სფეროშიც, რამდენადაც ერთ-ერთი ძირითადი კურსი - ხელოვნური ინტელექტი და ციფრული მმართველობა ცალკეულ დარგებში - სწორედ დარგობრივი საჯარო პოლიტიკების შემუშავებას და ანალიზს მოიცავს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ პროგრამაზე მიღების უფრო გამჭვირვალე წინაპირობების ჩამოყალიბება, მათ შორის: შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის თემატიკისა და საკითხების განსაზღვრა და კანდიდატებისათვის შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზურუნველყოფა; საჯარო პოლიტიკის საკითხების სატესტო საკითხებში დამატება; მისაღები პროცესის სხვადასხვა ეტაპებიდან გათავისუფლების შემთვევაში შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება; მისაღები პროცედურების სხვადასხვა ეტაპის მიხედვით ქულების მინიჭების, რეიტინგული სიების დადგენის გამჭვირვალე სისტემის შექმნა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) - დანართი #01; • დოქტორანტურის დებულება - დანართი #11; • დოქტორანტურის დებულება https://btu.edu.ge/ka/chven-shesakheb/maregulirebeli-dokumentebi ; https://btu.edu.ge/ka/stsavla-btu-shi/programebi. • ინტერვიუს შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, რექტორთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები: პროგრამაზე მიღების უფრო გამჭვირვალე წინაპირობების ჩამოყალიბება, მათ შორის: • შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის თემატიკისა და საკითხების განსაზღვრა და კანდიდატებისათვის შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზურუნველყოფა; ასევე საჯარო პოლიტიკის ანალიზის საკითხების სატესტო საკითხებში დამატება; • მისაღები პროცედურების სხვადასხვა ეტაპის მიხედვით ქულების მინიჭების, რეიტინგული სიების დადგენის გამჭვირვალე სისტემის შექმნა; მისაღები პროცესის სხვადასხვა ეტაპებიდან გათავისუფლების შემთხვევაში შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • პროგრამაზე დაშვების პროცესის გამჭვირვალობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, გაიწეროს ყველა წინაპირობა, თუ ასეთები მართლაც იქნება გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების დროს, მაგალითად, კანდიდატთა პრაქტიკული გამოცდილება/დასაქმება პროგრამის კვალიფიკაციის შესაბამის დარგებში
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს პროგრამი ყოველი ეტაპის ლოგიკურ და თანმიმდევრულ აღწერას, მათ შორის: პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება - რომელიც ითვალისწინებს უსდ-ს სხვადასხვა სტრუქტურების (ფაკულტეტი, აკადემიური და მოწვეული პერონალი, დარგის სპეციალისტები, სამუშაო ჯგუფი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტის და უსდ-ს აკადემიური საბჭოები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები) ჩართულობას შესაბამის ეტაპებზე და შესაბამისი მოცულობით; პროგრამის შესაბამისობას საქართველოს კანნმდებლობასთან და უსდ-ს სტრატეგიულ პრიორიტეტებთან; შრომის ბაზრის, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, კურსდამთავრებულთა კვლევეის შედეგების გათალისწინებას; პროგრამის გაუმჯობესების პრინციპებს; პრორგამის განხორციელების, შენარჩუნებისა და შეფასებისათვის ძირითად საკითხებს აკადმიური ხარისხის, სწავლის შედეგების, კომპეტენციების, სასწავლო დატვირვისა და სხვა ასპექტების გათვალისწინებით; პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პრინციპებს და ძირითად კითხვებს; ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით SWOT ანალიზის მეთოდოლოგიის გამოყენებას, ასევე PCDA ციკლის გამოყენებას და ISO 9001:2015 სტანდარტის შესაბამისობას; პროგრამის კურიკულუმის შემოწმების პრინციპებს მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასების ჩათვლით. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, წარმოდგენილი პროგრამა შემუშავებულია უსდ-ს მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამა აგებულია კანონმდებლობის შესაბამისად და დაცულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემა. პროგრამა თავის შინაარსით ინოვაციურია, რომლის ანალოგი (ცალკეული სასწავლო კურსების შეთავაზების გარდა)

არ ხორციელდება საქართველოს უმაღლეს საგანამანთლებლო დაწესებულებებში სადოქტორო საფეხურზე. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად ასახავს პროგრამა დარგის უახლეს მიღწევებს და კვლევების შედეგებს, რაც დასტურება კურიკულუმის შემუშავების დროს დასავლური უნივერსიტეტების შესაბამისი პროგრამების და დარგის ექსპერტების - ჩართულობით. გარე შეფასების ფორმატში, პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულები იყვნენ როგორც დარგის ექსპერტები და დარგობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე, უცხოეთის უსდ-ების წარმომადგენლები. ინტერვიუის პროცესში რესპონდენტებმა აღწერეს თანამონაწილეობითი პროცესი, მათ შორის, ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტების, ექსპერტების, სხვადასხვა ორგანიზაციების ჩართულობით. ხაზი გაუსვეს პროგრამის კურიკულუმის შემუშავების დროს ლაიდენის უნივერსიტეტის ანალოგიური სადოქტორო პროგრამის განხილვისა და პროგრამის წარმომადგენლებთან თანამშრომლობის შედეგებს.

პროგრამის ხანგრძლივობა არის მინიმუმ 3, მაქსიმუმ 5 აკადემიური წელი. პროგრამის სასწავლო კომპონენტის მოცულობა შეადგენს მაქსიმუმ 60 ECTS-ს, საშუალო სემესტრული დატვირთვით 30 ECTS, რაც შეიძლება შეიცვალოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით (შემოდგომის სემესტრში - არაუმეტეს 40 კრედიტისა, გაზაფხულის სემესტრში - არაუმეტეს 50 კრედიტისა). პროგრამა მოიცავს როგორც სავალდებულო ასევე არჩევით სასწავლო კომპონენტებს, საიდანაც სავალდებულო კომპონენტის მაქსიმალური ECTS არის 42, მინიმალური 24, ხოლო სავალდებულო კომპონენტში ასევე გათვალისწინებულია პროფესორის ასისტირება სასწავლო პროცესში (12 ECTS). არჩევითი კომპონენტი შეადგენს 36 კრედიტს, საიდანაც დოქტორანტს შეუძლია აირჩიოს 18 ECTS კრედიტების სრული რაოდენობის მისაღებად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 60 ECTS წარმოადგენს სასწავლო კომპონენტის სავალდებულო და არა მაქსიმალურ რაოდენობას. ამ ბუნდოვანების აღმოსაფხვრელად, სასურველია, მიეთითოს სავალდებულო კრედიტების მინიმალური რაოდენობა მთლიანი სასწავლო კომპონენტისათვის (როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი კურსების ჩათვლით).

გარდა ამისა, სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, დოქტორანტმა არჩევითი სტატუსით გაიაროს რომელიმე კურსი სამაგისტრო პროგრამებიდან.

აღსანიშნავია, რომ დოქტორანტი, რომელსაც აქვს სწავლების გამოცდილება, თავისუფლდება კურსიდან „სწავლების მეთოდები“ და, შესაბამისად, პროფესორის ასისტირებისგანაც. ასეთ შემთხვევაში, სასურველია, ნათლად იყოს ჩამოყალიბებული, ერთი მხრივ, როგორ მოხდება დანაკლისი კრედიტების შევსება და, მეორე მხრივ, როგორ მოხდება დოქტორანტის პედაგოგიური უნარების და სწავლების ხარისხის შეფასება. ექსპერტები ეთანხმებიან უსდ-ს წარმომადგენლებს, რომ სწავლების გამოცდილების მქონე დოქტორანტების გათავისუფლება აღნიშნული კურსებიდან მიზანშეწონილია ფორმალური შეფასებისგან თავის ასარიდებლად, თუმცა, მიიჩნევენ, რომ სასურველი იქნება, უფრო ნათლად განიმარტოს ასეთ შემთხვევებში საჭირო კრედიტების შევსების და დოქტორანტის სწავლების უნარის შეფასების მექანიზმები, მით უმეტეს, რომ სწავლების უნარის განვითარებას, პროგრამის მიხედვით, უზრუნველყოფს მხოლოდ

აღნიშნული ორი კურსი.

აკრედიტაციის ექსპერტთა აზრით, არ არის ცხადი, არის თუ არა პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ზოგადად, კითხვის ნიშანი ჩნდება, შესაძლებელია თუ არა ამ პროგრამის კურსდამთავრებულს მიენიჭოს საჯარო მმართველობის კვალიფიკაცია. შესაძლოა, უფრო ლოგიკური იყოს კლასიფიკატორში კვალიფიკაციის დამატების მოთხოვნა უსდ-ს მიერ, ან მენეჯმენტისა (0413.1.1) კვალიფიკაციის მინიჭება იმავე, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების და ადმინისტრირების (0413) ქუდის ქვეშ. საჯარო მმართველობის კვალიფიკაცია შესაძლებელია ერთგვარად შემზღუდავიც კი აღმოჩნდეს პროგრამის მომავალი განვითარებისათვის, რადგან პროგრამაში შემავალი ძირითადი საკითხები არასაჯარო სექტორის მართვაში ეფექტურად ინერგება. ინტერვიუს შედეგების მიხედვით, ექსპერტებს განემარტათ, რომ აღნიშნული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იყო საჯარო სექტორში უსდ-ს პარტნიორებისა და საერთაშორისო პარტნიორებთან მსჯელობის შედეგად. მათი თქმით, ციფრული მმართველობის დანერგვა საჯარო სექტორში საქართველოსათვის პრიორიტეტს წარმოადგენს. ამავე მოსაზრებას გაუსვეს ხაზი დამსაქმებლებმა, როდესაც აღნიშნეს, რომ პროგრამა მათ მნიშვნელოვანი კადრებით უზრუნველყოფს და ისინი მზად არიან კურსდამთავრებულთა დასაქმებისათვის.

ექსპერტების აზრით, სასურველია, გადაიხედოს პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შეცვლის შესაძლებლობა, ან, წინააღმდეგ შემთხვევაში მიზანშეწონილია, გაძლიერდეს სასწავლო კომპონენტში საჯარო მმართველობის და საჯარო პოლიტიკის სწავლება. აღნიშნული კურსის დამატება შესაძლებელია პროგრამის სტრუქტურის მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე, არჩევითი სტატუსით, თუნდაც, ინგლისური ენის (C1) კურსის ხარჯზე, რაც, ექსპერტების აზრით, სადოქტორო საფეხურის პროგრამისათვის არ წარმოადგენს აუცილებლობას. აკადემიურ დონეზე ინგლისური ენის დახვეწა დოქტორანტს შეუძლია აკადემიური წერის კურსის გავლის, ინგლისურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების და პუბლიკაციების მომზადების დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი, სილაბუსები) - დანართი #01;
- პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და განვითარების მეთოდოლოგია - დანართი #03;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (მათ შორის, კურიკულუმის შესაბამისობის რუკა) - დანა-რთი #04;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი - დანართი #9;

- დოქტორანტურის დებულება - დანართი #11;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (მათ შორის, გარე შეფასება) - დანართი #13;
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო, პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და განვითარების მეთოდოლოგია, დოქტორანტურის დებულება https://btu.edu.ge/ka/chven-shesakheb/maregulirebeli-dokumentebi
- https://btu.edu.ge/ka/chven-shesakheb/khariskhis-uzrunvelyofa
- https://btu.edu.ge/ka/stsavla-btu-shi/programebi
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს შესაძლებლობა, პროგრამისათვის მენეჯმენტისა და ადმინისტრაციის კვალიფიკაციის მინიჭებისა, ან გაძლიერდეს სასწავლო კომპონენტში საჯარო მმართველობის და საჯარო პოლიტიკის სწავლება არასავალდებულო სტატუსით შესაბამისი კურსების დამატებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიეთითოს სავალდებულო კრედიტების მინიმალური რაოდენობა პროგრამის მთლიანი სასწავლო კომპონენტისათვის (როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი კურსების ჩათვლით)
- დოქტორანტის სწავლების მეთოდებისა და პროფესორის ასისტირებიდან გათავისუფლების შემთხვევაში, უფრო ნათლად განიმარტოს ასეთ შემთხვევებში საჭირო კრედიტების მინიჭების და დოქტორანტის სწავლების უნარის შეფასების მექანიზმები

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სასწავლო კომპონენტი შედგება სასწავლო კურსებისგან, პროსპექტუსისა და პროფესორის ასისტირებისგან.

პროგრამის ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსებია: ციფრული მმართველობა; ხელოვნური ინტელექტი როგორც მეცნიერება; კვლევის მეთოდები (რაოდენობრივი, თვისებრივი); ხელოვნური ინტელექტი და ციფრული მმართველობა ცალკეულ დარგებში; სწავლების თანამედროვე მეთოდები; პროფესორის ასისტირება (სასწავლო პროცესში ასისტირება). თითოეული კურსი არის 6 კრედიტიანი, გარდა პროფესორის ასისტირებისა, რომელიც 12 ECTS-ს შეადგენს. წინაპირობა განსაზღვრული აქვს ორ კურსს, ხელოვნური ინტელექტი და ციფრული მმართველობა ცალკეულ დარგებში - დაშვების წინაპირობა ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი როგორც მეცნიერება; პროფესორის ასისტირება - დაშვების წინაპირობა სწავლების თანამედროვე მეთოდები.

პროგრამის სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების რუკის მიხედვით, პროგრამის ყველა ძირითადი სპეციალობის კურსის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სწავლის შედეგები შემდეგია:

1) აქვს საჯარო მმართველობის სფეროში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასა და ციფრული მმართველობის დანერგვასთან დაკავშირებული, ინოვაციურ კვლევებსა და მიდგომებზე დამყარებული ცოდნა.

2) ახდენს არსებული ცოდნის ხელახლა გააზრებაგაფართოებას, ახალი ცოდნის და

ინოვაციური იდეების შექმნას და გამოყენებას.

3) გეგმავს და ახორციელებს კვლევით პროცესს, იყენებს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კვლევის და შედეგების შეფასების მეთოდებს, აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვით ქმნის და ავითარებს საჯარო მმართველობის მიმართულებით ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული მმართველობის სფეროში ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებს, მიდგომებს და სტრატეგიებს.

4) პრაქტიკულ საქმიანობაში განსაზღვრავს ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული მმართველობის სფეროში საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და საჯარო მმართველობის მიმართულებით ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისა და ციფრული მმართველობის დანერგვასთან დაკავშირებულ საკვლევ საკითხებს, იღებს კვლევაზე და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებას და ახდენს ტექნოლოგიური პროცესების აგებას ეთიკური, სამართლებრივი და უსაფრთხოების ასპექტების გათვალისწინებით.

5) ადგენს, იყენებს და აანალიზებს ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული მმართველობის სამართლებრივ, ეთიკურ და სოციალურ სტანდარტებს და აკადემიურ კონტექსტში ხელს უწყობს საჯარო მმართველობის მიმართულებით ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული მმართველობის განვითარებას.

6) ციფრული მმართველობის და ხელოვნური ინტელექტის საკითხებზე კვლევის შედეგებსა და მიგნებებს ქართულ და ინგლისურ ენებზე წარუდგენს საჯარო მმართველობის და სახელმწიფოს ციფრული პოლიტიკის განმსაზღვრელებს, სამეცნიერო საზოგადოებას, დარგის სპეციალისტებს და არასპეციალისტებს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნებით, ზოგადი და სპეციალური ხასიათის დისკუსიებში მონაწილეობით, კვლევითი და/ან პრაქტიკული პროექტებით მომზადებით, თანამედროვე სწავლების მეთოდებისა და საგანმანათლებლო სტრატეგიების შემუშავებით და გამოყენებით

ძირითადი სპეციალობის კურსების სწავლის შედეგებში ასახულია პროგრამის მიზნები, ისევე, როგორც გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები და სადოქტორო საფეხურისათვის შესაბამისი სირთულის დონე. თითოეული კურსის სილაბუსში განსაზღვრულია შესაბამისი შედეგი და ასევე, შუალედური და ფინალური შეფასების კომპონენტებით ხდება აღნიშნული შედეგების მიღწევის შეფასება. თითოეული სასწავლო კურსის მიხედვით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა შეესაბამება საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობას. ყოველი ცალკეული კურსი, კურსის შინაარსისა და დატვირთვის შესაბამისად, ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

ძირითადი სპეციალობის რამდენიმე კურსთან დაკავშირებით აკრედიტაციის ექსპერტებმა შემდეგი მოსაზრებები გამოთქვეს:

ციფრული მმართველობა: ეს არის ერთადერთი კურსი, რომელიც მოიცავს საჯარო

მმართველობის საკითხებს. მაგალითად: ციფრული მთავრობის პრინციპები: 1) ღიაობა, გამჭვირვალობა და ჩართულობა; 2) გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა და მომსახურების მიწოდება; 3) მონაცემთა ანა-ლიზზე დაფუძნებული საჯარო სექტორის განვითარება; 4) პირადი სივრცის დაცვა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა; 5) პოლიტიკური ხელმძღვანელობის ვალდებულებების გამოკვეთა; 6) ციფრული ტექნოლოგიების თანმიმდევრული გამოყენება; 7) სამთავრობო უწყებებს შორის კოორდინაციის მექანიზმების განვითარება; 8) საერთაშორისო თანამშრომლობის გაძ-ლიერება; 9) თანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებული პროექტების მენეჯმენტის განვითარება; 10) ციფრული ტექნოლოგიების შესყიდვა; 11) ციფრული ტექნოლოგიებისთვის შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა

ჩამოთვლილი საკითხები განიხილება ერთი ლექციის ფარგლებში. ბუნებრივია, რომ ასეთი მოცულობის მასალის ათვისება გულისხმობს სტუდენტის წინარე ცოდნას საჯარო მმართველობის სფეროში.

გარდა აღნიშნულისა, საჯარო მმართველობას სასწავლო კურსი ეხება შემდეგ თემებთან კვეთაში: ციფრული პოლიტიკა, სამართლებრივი ჩარჩო და სოციალური ნორმები, ციფრული ეთიკა, ციფრული სამთავრობო ინფრასტრუქტურის განვითარება სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე, ციფრული ქალაქების კონცეფცია და სხვა.

ინტერვიუს დროს აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ პროგრამის შემუშავების მთავარი მიზანია საჯარო მმართველობაში ჩართულ პირებს გაუღმავონ ცოდნა ციფრულ მმართველობასთან დაკავშირებით. თუმცა, შესაბამისი პირობა არ არის განსაზღვული პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში.

კურსი ხელოვნური ინტელექტი და ციფრული მმართველობა ცალკეულ დარგებში მოიცავს საჯარო პოლიტიკის თემებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა განათლება, მეცნიერების მენეჯმენტი, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა, გარემოს დაცვა, სამართალი, დიპლომატია, უსაფრთხოების პოლიტიკა. თითოეული სფეროს ციფრული სტრატეგიის შედგენა მოითხოვს საჯარო პოლიტიკის ანალიზის მეთოდების თეორიულ ცოდნას და გარკვეულ პრაქტიკულ გამოცდილებასაც. შესაბამისად, სასწავლო კურსების დეტალური შესწავლის შედეგად მყარდება ექსპერტთა მოსაზრება მისაღებ ეტაპზე საჯარო მმართველობისა და საჯარო პოლიტიკის სფეროს ცოდნის სიღრმისეული შემოწმების შესახებ, რაც ასახულია 2.1 ქვესტანდარტის რეკომენდაციებში.

პროსპექტუსი, რომელიც პროგრამის აღწერის მიხედვით არასავალდებულო, არჩევით კომპონენტია, წარმოადგენს სადოქტორო თემის წინასწარ განხილვას, კვლევის აქტუალობის, კვლევის კითხვების და/ან ჰიპოთეზების შემოწმებას, რაც ეფექტური საშუალებაა დოქტორანტისათვის, მიიღოს ექსპერტებისაგან შენიშვნები და რეკომენდაციები და უფრო გააუმჯობესოს სადოქტორო ნაშრომის ხარისხი.

რაც შეეხება პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს, ის ხორციელდება დოქტორანტს ინდივიდუალური კვლევითი გეგმის შესაბამისად: დოქტორანტი წარადგენს სადისერტაციო კვლევის პროექტს, სადოქტორო (კვლევით) სემინარს,

დადგენილი წესით აქვეყნებს სამეცნიერო სტატიებს (მინიმუმ ორი პუბლიკაცია კვლევის თემაზე, მათ შორის ერთი - იმპაქტ-ფაქტორის მქონე საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში) და ამზადებს სადისერტაციო ნაშრომს. დოქტორანტს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი კვლევითი საქმიანობის თაობაზე: მაგ., დამატებითი სამეცნიერო პუბლიკაცია, სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა, სამეცნიერო ხელმძღვანელის/სხვ. კვლევით საქმიანობაში ჩართულობა და სხვ.

ექსპერტების აზრით, საყურადღებოა სამეცნიერო კვლევის (სამეცნიერო ნაშრომის/დისერტაციის) პროექტი, რომლის ფარგლებშიც დოქტორანტმა უნდა წარმოაჩინოს სამეცნიერო ნაშრომის წინასწარი მონახაზი, საკვლევი თემის აქტუალობა და სიახლე, სამეცნიერო თეორიული თუ პრაქტიკული ღირებულება, აღწეროს და დაასაბუთოს კვლევის მეთოდების და რესურსების (ლიტერატურა, სხვ.) რელევანტურობა, მოსალოდნელი შედეგები, მათი ლოგიკურობა და მიღწევადობა. პროექტის წარდგენა პრეზენტაციის სახით ხდება სადისერტაციო საბჭოს წინაშე. საბჭოს მხრიდან პროექტის განხილვა დოქტორანტს ეხმარება უფრო ნათლად გამოკვეთოს საკვლევი საკითხი, დააზუსტოს კვლევის ასპექტები, უკეთ გაიაზროს და ჩამოაყალიბოს კვლევის კითხვები ან/და ჰიპოთეზები, კვლევის გეგმა, კვლევის მოსალოდნელი შედეგები, კვლევის შეზღუდვები და უპირატესობები, განსხვავებული კუთხით დაინახოს და განსაზღვროს საკვლევი საკითხი და მისი აქტუალობა, მიიღოს რეკომენდაციები და რჩევები.

აღსანიშნავია, რომ პროქეტი შინაარსობრივად და ფორმატითაც (25-30 გვერდი) ემთხვევა პროსპექტუსის მოთხოვნებს. ექსპერტების მოსაზრებით, მიზანშეწონილია, განისაზღვროს სამეცნიერო კვლევის პროექტისა და პროსპექტუსის დანიშნულება და შინაარსი, თუ ორივე ერთსა და იმავე კომპონენტს წარმოადგენს, დაზუსტდეს დასახელება და განესაზღვროს სავალდებულო სტატუსი.

კვლევითი კომპონენტის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს სადოქტორო კვლევითი სემინარი, რომლის ფარგლებშიც დოქტორანტმა უნდა მოამზადოს და წარადგინოს ნაშრომი კვლევასთან დაკავშირებულ საკითხებზე, კვლევის აქტუალურობის, კვლევის მეთოდოლოგიის, კვლევის დაგეგმილი და უკვე მიღწეული შედეგების და სხვა ინფორმაციის მითითებით. ისევე, როგორც კვლევითი პროექტის შემთხვევაში, სემინარის პრეზენტაციის წარდგენა ხდება სადისერტაციო საბჭოს ან სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შექმნილი კომისიის წინაშე. მისი ფორმატიც ანალოგიურია პროსპექტუსისა და საკვლევი პროექტისა.

ექსპერტების აზრით, მიზანშეწონილია, სადოქტორო სემინარს მიეცეს განსხვავებული დატვირთვა. არსებული გამოცდილებით, სადოქტორო სემინარის მიზანია შეაფასოს, რამდენად კარგად აქვს ათვისებული დოქტორანტს კვლევის მეთოდები, შესაბამისად, სადოქტორო სემინარის თემა სასურველია განსხვდებოდეს დისერტაციის თემისაგან. ექსპერტთა აზრით, სასურველია, დაზუსტდეს სემინარის თემა და ხაზი გაესვას მის განსხვავებულობას დისერტაციაში განხილული თემებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბუნდოვანია, რა განსხვავებაა საკვლევ პროექტსა და სადოქტორო სემინარს შორის. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ ექსპერტთა მოსაზრებით, სასურველია, სადოქოტრო სემინარი არა

კვლევით, არამედ სასწავლო კომპონენტს შეადგენდეს.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დასკვნითი შემაჯამებელი ნაწილია სამეცნიერო ნაშრომი - დისერტაცია. ის მომზადებულიუნდა იყოს საჯარო დაცვისათვის და ასახავდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი თეორიული და/ან ექსპერიმენტული სამეცნიერო კვლევის დასაბუთებულ შედეგებს; წარმოადგენდეს მეცნიერულ სიახლეს და წვლილი შექონდეს დარგის განვითარებაში.

დოქტორანტურის დებულებაში დეტალურად არის გაწერილი დისერტაციის შინაარსობრივი დასტრუქტურული მახასიათებლები. სახელწოდების შერჩევის პრინციპები, სამეცნიერო ეთიკის ნორმები, ლიტერატურის გამოყენებისა და ციტირების წესები, ნაშრომის გაფორმების რეგულაციები, საჯარო დაცვა და მასთან დაკავშირებული მოთხოვნები/პროცედურები.

სასწავლო კურსები უმეტესწილად შედგენილია სფეროს უახლესი მიღწევების ასახვით, რაც დასტურდება სავალდებულო ლიტერატურით. კურსების სავალდებულო ლიტერატურასთან დაკავშირებით, ექსპერტებმა გამოთქვეს შემდეგი მოსაზრებები:

- ცალკეული სასწავლო კურსის (მაგ. ხელოვნური ინტელექტი როგორც მეცნიერება): ძირითად ლიტერატურაში მხოლოდ ერთი წიგნია მითითებული: Stuart J. Russell and Peter Norvig. Artificial Intelligence: A Modern Approach. Fourth Edition. Pearson Education, Inc, 2020). სასურველია სილაბუსის აგება არა მხოლოდ ძირითადი სახელმძღვანელოს მიხედვით, არამედ უახლესი სამეცნიერო მიღწევების ამსახველი სტატიების სავალდებულოდ შესწავლაც ამ დარგთან დაკავშირებით.

- არც ერთ სილაბუსში არ არის გვერდების საერთო რაოდენობა მითითებული ძირითად სახელმძღვანელოში, რაც შეუძლებელს ხდის სტუდენტის სასწავლო დატვირთვის/კრედიტების გაანგარიშების ადეკვატურობის შეფასებას.

- სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები (რაოდენობრივი და თვისებრივი)“ მითითებულია 2012, 2013 წლების ძირითადი სასწავლო ლიტერატურა. სასურველია უახლესი სასწავლო ლიტერატურის მითითება.

- სასწავლო კურსში „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ ძირითად სასწავლო ლიტერატურაში მითითებულია 14 ლიტერატურა, არ არის თითოეული მათგანისთვის სტუდენტის მიერ დასამუშავებელი გვერდების საერთო რაოდენობა მითითებული, რაც შეუძლებელს ხდის სტუდენტის სასწავლო დატვირთვის და კრედიტების გაანგარიშებვის ადეკვატურობის შეფასებას. ამასთან. მითითებულია 1997, 2006, 2007 და ა.შ. წლების ლიტერატურა, სასურველია უახლესი სასწავლო ლიტერატურის და კვლევითი სტატიების მითითება

- სასწავლო კურსში „სადისერტაციო ნაშრომის დიზაინი და მენეჯმენტი“ ძირითად სასწავლო ლიტერატურაში მითითებულია 2 წყარო, არ არის თითოეული მათგანისთვის სტუდენტის მიერ დასამუშავებელი გვერდების საერთო

რაოდენობა მითითებული, რაც შეუძლებელს ხდის სტუდენტის სასწავლო დატვირთვის და კრედიტების გაანგარიშებვის ადეკვატურობის შეფასებას. ამასთან. მითითებულია 2011 და 2012 წლების ლიტერატურა, სასურველია უახლესი სასწავლო ლიტერატურის და კვლევითი სტატიების მითითება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამის (ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი) რუკა • პროგრამა და სილაბუსები • ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები: • განისაზღვროს სამეცნიერო კვლევის პროექტისა და პროსპექტუსის დანიშნულება და შინაარსი, თუ ორივე ერთსა და იმავე კომპონენტს წარმოადგენს, დაზუსტდეს დასახელება და განესაზღვროს სავალდებულო სტატუსი. ასევე, განისაზღვროს სადოქტორო სემინარის შინაარსი და განსხვავდეს ის როგორც სამეცნიერო კვლევის პროექტისა და პროსპექტუსისაგან, ასევე ზოგადად, სადისერტაციო ნაშრომის თემატიკისაგან. • ძირითად სასწავლო კურსებში ერთზე მეტი სავალდებულო ლიტერატურის მითითება, მაგ> კურსი „ხელოვნური ინტელექტი როგორც მეცნიერება“ • სილაბუსების აგება არა მხოლოს ძირითადი სახელმძღვანელოების მიხედვით, არამედ დარგში უახლესი სამეცნიერო მიღწევების ამსახველი სტატიებითაც („ხელოვნური ინტელექტი, როგორც მეცნიერება“, „სადისერტაციო ნაშრომის დიზაინი და მენეჯმენტი“ • ძირითად კურსებში „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ და „კვლევის მეთოდები“, ძირითადი სახელმძღვანელოების შეადრებით ახალი გამოცემების გამოყენება
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სადოქტორო სემინარი განისაზღვროს როგორც პროგრამის არა კვლევითი, არამედ სასწავლო კომპონენტი • სილაბუსებში გვერდების საერთო რაოდენობის მითითება ძირითად სახელმძღვანელოებში, რაც შესაძლებელს გახდის სტუდენტის სასწავლო დატვირთვის/კრედიტების გაანგარიშების ადეკვატურობის შეფასებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ორიენტირებულია კურსდამთავრებულისთვის დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების განვითარებაზე, რაც აისახება თითოეული სასწავლო კურსისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სილაბუსებსა და სწავლის შედეგების რუკებში. ძირითადი კურსების შედეგად უზრუნველყოფილია ისეთი ტრანსფერული უნარებისა და კომპეტენციების გამომუშავება, როგორებიცაა წინააღმდეგობრივი/არასრული ინფორმაციის/იდეების გააზრება, გამოყენება, სწავლის უნარი, დამოუკიდებელი მუშაობა, გაუთვალისწინებელ სიტუაციებთან ადაპტირება, ინტერპერსონალური უნარები: კომუნიკაციის უნარი, გუნდური მუშაობა, თანამშრომლობა, ანალიტიკური უნარები, დასკვნის უნარი, კრიტიკული აზროვნება, კვლევის უნარი, ცვლილებების დაგეგმვის უნარი, ინფორმაციის მართვის უნარი, ლიდერობა, თვითშეფასება, თვითრეალიზება თვითპრეზენტაცია, პრობლემის გადაჭრისადმი კრეატიული მიდგომა, სამუშაოს დაგეგმვა, ორგანიზება, დროის მართვა, ახალი იდეების გენერირება, ეთიკური/სოციალური ნორმების გაცნობიერება. სადისერტაციო ნაშრომის დებულებაში აღნიშნულია, რომ ნაშრომი ხელს უწყობს შემდეგი უნარების განვითარებას: წინააღმდეგობრივი/არასრული ინფორმაციის/იდეების გააზრება,

გამოყენება; სწავლის უნარი;

დამოუკიდებელი მუშაობა; კომუნიკაციის უნარი; დასკვნის უნარი; ანალიტიკური უნარები; კრიტიკული აზროვნება; ეთიკური/სოციალური ნორმების გაცნობიერება. იმის გათვალისწინებით, რომ სადისერტაციო ნაშრომი მიზანი ახალი ცოდნის შექმნაა, ხოლო თავად პროგრამა გამოირჩევა ინოვაციურობით და ქართული რეალობისათვის ახალ სფეროს მოიცავს, ექსპერტების აზრით, მიზანშეწონილია, ასევე განისაზღვროს ისეთი უნარების განვითარების შესაძლებლობა, როგორებიცაა: ინოვაციური საქმიანობის უნარი, კვლევის უნარი, ცვლილებების დაგეგმვის უნარი, ინფორმაციის მართვის უნარი, პრობლემის გადაჭრისადმი კრეატიული მიდგომა და ახალი იდეების გენერირება.

გარდა აღნიშნულისა, კვლევისა და ანალიტიური უნარების განვითარებას უზრუნველყოფს სავალდებულო პუბლიკაციები, კვლევითი პროექტი, სადოქტორო სემინარი. ასევე, უსდ შესაძლებლობას აძლევს დოქტორანტებს, ითანამშრომლონ უნივერსიტეტის პარტნიორ ორგანიზაიებთან, რეალურ გარემოში მიიღონ ინფორმაცია მიმდინარე პროცესებზე, მოაგროვონ პირველადი მონაცემები და განივითარონ პრაქტიკული უნარები ერთთვიანი ვიზიტების დროს.

დოქტორანტების კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობას ახორციელებს კარიერული განვითარების ცენტრი, კვლევების ცენტრი, განვითარების სამსახური, მეწარმეობის ცენტრი და

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, უწევენ დოქტორანტს შესაბამის კონსულტირებას, ეხმარებიან ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარებაში, სამეცნიერო კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში მონაწილეობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) - დანართი #01;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- დოქტორანტურის დებულება
- სადისერტაციო ნაშრომის დაცვა (დოქტორანტურის დებულების დანართი)
- განვითარების სამსახურის დებულება, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულება, კარიერული განვითარების ცენტრის დებულება, კვლევების ცენტრის დებულება, მეწარმეობის ცენტრის დებულება https://btu.edu.ge/ka/chven-shesakheb/maregulirebeli-dokumentebi
- https://btu.edu.ge/ka/chven-shesakheb/ganvitharebis-samsakhuri / https://btu.edu.ge/ka/chven-shesakheb/saerthashoriso-urthierthobebi

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • დოკუმენტში „სადოქტორო ნაშრომის დაცვა“ დაზუსტდეს და განივრცოს ტრანსფერული უნარები და კომპეტენციები, რომელთა განვითარებაშიც სადოქტორო კვლევა ხელს უწყობს დოქტორანტს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლა-სწავლების მეთოდები შერჩეულია თითოეული კურსის დატვირთვისა და შინაარსობრივი სირთულის შესაბამისად, თითქმის ყველა სასწავლო კურსში გამოიყენება PBL, შემთხვევის ანალიზი, გათვალისწინებულია კვლევისა და პრაქტიკული კომპონენტები, ასევე დემონტრირებისა და პრეზენტაციის მეთოდები. კონკრეტული მეთოდები განისაზღვრება კურსის სპეციფიკიდან და დატვირთვიდან გამომდინარე, და ხელს უწყობს კურსის ფარგლებში დასახული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო ყველა კომპონენტში გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით დაგეგმილი შედეგების მიღწევას.

დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევით გეგმები დგება სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად და თანხმდება პროგრამის პროგრამის ხელმძღვანელთან და ფაკულტეტის დეკანთან; განსხვავებუ- ლი პოზიციების შემთხვევაში გეგმას/გეგმებს განიხილავს სადისერტაციო საბჭო. ინდივიდუალური გეგმები დგება დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან/სწავლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში აისახება პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები და სემესტრული გრაფიკი; ინდივიდუალური კვლევითი გეგმა მოიცავს კვლევის მიზანს, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურას, სადისერტაციო ნაშრომის შესრულების სავარაუდო განრიგს და სხვ.; დოქტორანტის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია შეიცვალოს პროგრამის კურიკულუმში მითითებულია სამეცნიერო კვლევის პროექტის, სადოქტორო სემინარის, სამეცნიერო პუბლიკაციების შესრულების და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინასწარ მითითებული პერიოდები. მიუხედავად ინდივიდუალური ცვლილებებისა, უზრუნველყოფილია, რომ დოქტორანტმა სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე შეასრულოს პროგრამის ყველა სავალდებულო კომპონენტი. ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმები ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი, სილაბუსები) - დანართი #01; • პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და განვითარების მეთოდოლოგია - დანართი #03; • სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა BTUClassRoom; • დოქტორანტურის დებულება • ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების დებულება https://btu.edu.ge/ka/chven- shesakheb/maregulirebeli-dokumentebi
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების ცოდნა ფასდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, რომელიც სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ. წესები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. არის საჯარო, ხელმისაწვდომი, გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან შესაბამისი. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების ცოდნის შეფასების ფორმების, შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა მოცემულია სილაბუსებში, რომლებიც ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას. სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით. დადებითი შეფასებებია: ● (A) – ფრიადი – შეფასების 91 – 100 ქულა ● (B) – ძალიან კარგი – შეფასების 81 – 90 ქულა ● (C) – კარგი – შეფასების 71 – 80 ქულა ● (D) – დამაკმაყოფილებელი – შეფასების 61 – 70 ქულა ● (E) – საკმარისი – შეფასების 51 – 60 ქულა უარყოფითი შეფასებებია: ● (FX) – ვერ ჩააბარა – შეფასების 41 – 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად

მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

● (F) – ჩაიჭრა – შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დისერტაცია, რომელიც დაცვისთვისა წარდგენილი, ფასდება შემდეგი სისტემით:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება.

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება.

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს.

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო.

ზ) შეფასება „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 40 ქულას და ნაკლებს.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა საჯაროა, ხოლო მისი შეფასება დახურულია - ესწრებიან და მონაწილეობენ მხოლოდ კომისიის წევრები. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება კომისიის სრული შემადგენ-ლობის არანაკლებ 2/3. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა არანაკლებ ½-ით, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა;

ცოდნის შეფასების სისტემა გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამაში, შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. სტუდენტებს საშუალება აქვთ ინფორმაცია ცოდნის შეფასების შესახებ მიიღონ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და საგნის პედაგოგისგან.

სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრებისა და საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/გამოცდის აღდგენის პროცედურები დეტალურადაა გაწერილი „ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დებულებაში“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის დებულება.

• ბტუ-ს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დებულება. • ბტუ-ს სადისერტაციო საბჭოს დებულება. • პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან; • ინტერვიუ სტუდენტებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების		X		

შეფასების ადეკვატურობა				

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი **ბიზნესისა და ტექნოლოგიების** ფაკულტეტზე სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ამ ინფორმაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია საჯაროა, ხელმისაწვდომია და განთავსებულია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე. სტუდენტს ასევე შეუძლია მიიღოს შესაბამისი საჭირო ინფორმაცია, კონსულტაცია და დახმარება როგორც უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალისგან , ასევე პროგრამის აკადემიური პერსონალისაგან. მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტები ინფორმირებულები არიან ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებების, კონფერენციების შესახებ და იღებენ მონაწილეობას მათში. ასევე სარგებლობენ საერთაშორისო მობილობით. ამის შესახებ ინფორმაციას სტუდენტები იღებენ უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის მეშვეობთ. დოქტორანტისათვის ინდივიდუალური გეგმის/განრიგის შემუშავების შესახებ დგება საკითხი, თუკი სტუდენტს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება აქვს ან არ აღენიშნება ასეთი საჭიროება, თუმცა ბტუ-ს შინაგანაწესით და „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების დებულებით" გათვალისწინებული მიზეზებით, გარკვეული დროით საჭიროებს სწავლების განსხვავებულ სასწავლო გეგმას/განრიგს; გასაუბრების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ აკადემიურ პერსონალთან ინდივიდუალური კონსულტაციები ტარდება მათთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. სასურველი იქნება თუ ფაკულტეტი ყოველი სემესტრის დასაწყისში შეადგენს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის განრიგს დეპარტამენტების მიხედვით და განათავსებს

ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

მომიჯნავე პროგამის სტუდენტებთან გასაუბრების პროცესში დადგინდა, რომ ყველა სტუდენტი დასაქმებულია. უნივერსიტეტს ჰყავს პარტნიორი ორგანიზაციები და შუამდგომლობას უწევს სტუდენტებს მათთან დასაქმებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბტუ-ს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დებულება.
- ბტუ-ს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების დებულება.
- ბტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის დებულება.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ფაკულტეტმა ყოველი სემესტრის დასაწყისში შეადგინოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის განრიგი დეპარტამენტების მიხედვით და განათავსოს ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ბიზნესისა დატექნოლოგიების უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამას „ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი" ემსახურება კვალიფიციური აკადემიური პერსონალი. თითოეული მათგანი აქტიური მეცნიერია. სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქცია და მოვალეობები გაწერილია შესაბამის დებულებაში. დოქტორანტმა დისერტაციის დაცვამდე უნდა გამოაქვეყნოს საკვლევ თემასთან დაკავშირებული სულ მცირე 2 სტატია: ერთი სტატია უნდა იყოს გამოქვეყნებული იმპაქტ-ფაქტორის მქონე საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში, ხოლო მეორე სტატია შეიძლება იყოს გამოქვეყნებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში ან საქართველოში/უცხოეთში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად რეცენზირებად ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში. მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის სილაბუსებში არსებული დამოუკიდებელი სამუშაოებისა და დისერტაციის შესრულების პროცესში აკადემიური პერსონალი ინდივიდუალურად მუშაობს თითოეულ დოქტორანტთან. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს სტუდენტს კვლევით პროცესთან დაკავშირებულ საკითხებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესში, აგრეთვე სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნების თაობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბტუ-ს დოქტორანტურის დებულება • ბტუ -ს „ხელმძღვანელებისა და პერსონალის უფლება-მოვალეობები" • პერსონალის CV-ები. • პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა

მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული მმართველობის პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომელიც აერთიანებს, როგორც აკადემიურ ასევე მოწვეულ პერსონალს. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა პროგრამის სასწავლო შედეგებით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომუშავებისათვის დასტურდება პროგრამაზე დართული პირადი საქმეებით, გამოცემული სამეცნიერო სტატიებით, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, ტრენინგებსა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში მონაწილეობით.

პროგრამის განხორციელებაში უშუალოდ არის ჩართული 1 პროფესორი 3 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ პროფესორი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა შეადგენს 6-ს. ბალანსი პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ პერსონალს შორის უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას საგნების გადანაწილების ინტერდისციპლინურობიდან გამომდინარე.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საუნივერსიტეტო რეგულაციებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

პროგრამის ხელმძღვანელის ცოდნა და გამოცდილება შესაბამისია პროგრამის შემუშავებისა და მართვის საჭიროებებთან, რაც დასტურდება პროგრამაზე თანდართული პირადი საქმით.

პროგრამის ხელმძღვანელი არის სამართლის დოქტორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრის დირექტორი, წლების განმავლობაში იყო მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, European Open Science Cloud -ის (EOSC) მმართველი საბჭოს წევრი, European Strategy Forum on Research Infrastructures-ის მმართველი საბჭოს წევრი, European Research Area and Innovation Committee-ის მმართველი საბჭოს წევრი, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი. მისი დირექტორობის დროს შეიქმნა გრანტების ელექტრონული მართვის სისტემა - GMUS.

პროგრამის ხელმძღვანელის ავტორობით ასევე გამოქვეყნებულია სამეცნიერო ნაშრომები

დომენის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლების, ინტერნეტში გამოსაყენებელი საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების, ელექტრონული კომერციისა და სხვა თემებზე.

წლების განმავლობაში ასევე ხელმძღვანელობდა ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა «ჰორიზონტი 2020»-ის ფარგლებში დაფინანსებულ პროექტებს.

ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული მმართველობის პროგრამის განხოციელებაში უშუალოდ არის ჩართული ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის, ბიბლიოთეკის, ხარისხის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურში მომუშავე შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალი, რაც უზუნველყოფს პროგრამის მდგრად და შეუფერხებელ განხორციელებას.

ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოზე, რომელიც, პროგრამის საფეხურიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. დოქტორანტურის დებულების მიხედვით, სადისერტაციო საბჭო იქმნება ფაკულტეტზე, რექტორის ბრძანებით და მის შემადგენლობაში შედიან უსდ-ს პროფესორები და ასოცირებული პროფესორები, რომლებსაც აქვთ დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი და უდასტურდებათ ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამ(ებ)ის სფერო(ებ)ში კვლევის კომპეტენცია. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საჯარო მმართველობა - მოცემული აკადემიური აფილირებული პერსონალიდან შეისაძლოა დაუდასტურდეს მხოლოდ ორ პირს, პროგრამის ხელმძღვანელს და ერთ-ერთი ძირითადი კურსის პროფესორს. შესაბამისად, შესაძლოა, დადგეს საბჭოს კომპეტენციის პრობლემა დოქტორანტისათვის საჯარო მმართველობის კვალიფიკაციის შეფასების მხრივ. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ სავარაუდოდ კონკრეტული დაცვის დროს ერთ-ერთი ამ ორი პირიდან თემის ხელმძღვანელი იქნება და ვერ მიიღებს მონაწილეობას საბჭოს მუშაობაში. დებულების მიხედვით, შესაძლებელია საბჭოში რექტორის ბრძანებით სხვა პირების დანიშვნაც, თუმცა, პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, ექსპერტებს სასურველად მიაჩნიათ, საწყის ეტაპზევე მოხდეს სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობის მისანიჭებელი კვალიფიკაციის - საჯარო მმართველობის - მიმართულებით აფილირებული პერსონალით გაძლიერება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები
- პირადი საქმეები
- დოქტორანტურის დებულება
- შინაგანაწესი; სტრუქტურული ერთეულების დებულებები, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია; პერსონალის დაგეგმვის

მეთოდოლოგია, ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო https://btu.edu.ge/ka/chven-shesakheb/maregulirebeli-dokumentebi
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობის მისანიჭებელი კვალიფიკაციის - საჯარო მმართველობის - მიმართულებით აფილირებული პერსონალით გაძლიერება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც აკრედიტაციის ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა და პროგრამაზე თანდართულმა დოკუმენტებმა ცხადყო უნივერსიტეტში მოქმედი წესით აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების ერთ-ერთი მექანიზმია ინდივიდუალური დატვირთვის სქემის, (რაც მოიცავს სასწავლო-პედაგოგიურ,

სამეცნიერო-კვლევით, სტუდენტთა ხელშეწყობის მიმართულებით ჩატარებულ საქმიანობას და სხვა), შესრულების შესწავლა და ანალიზი, რასაც ახორციელებს ფაკულტეტის დეკანი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, რის შედეგადაც შემუშავებული დასკვნები და რეკომენდაციები უზიარდება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს პროგრამის განხორციელების სრულყოფის მიზნებისათვის.

აკრედიტაციის ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ უნივერსიტეტი სისტემატურად ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. მუდმივად ხდება პერსონალის ინფორმირება სამეცნიერო კონფერენციების, კვლევითი პროექტების, უცხოურ უნივერსიტეტებში მობილობის შესაძლებლობების, სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების დაფინანსების თაობაზე.

უნივერსიტეტში შექმნილია კვლევითი ცენტრი რომლის ბიუჯეტი შეადგენს 350,000.00 ლარს. დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს, როგორც ცენტრის ადმინისტრაციას ასევე საფინანსო სამსახურს შესაბამისი აკადმიური აქტივობის დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით.

უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს ჟურნალი Journal of Business and Technology, რომელიც შესაძლებლობას აძლევს აკადემიურ-მოწვეულ პერსონალსა და სტუდენტებს რომ გამოსაქვეყნებლად წარადგინონ ნაშრომები.

უნივერსიტეტში ასევე ამოქმედებულია ახალგაზრდა მეცნიერის ჯილდო 10,000.00 ლარის ოდენობით, რომელიც გაიცემა წლის განმავლობაში განხორციელებული აკადემიური საქმიანობის (კონფერენციებში მონაწილეობა, პუბლიკაციები და ა.შ.) შესაბამისად.

პერსონალის პროფესიული განვითარების კუთხით ასევე გამოსაყოფია უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხი და ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული მმართველობის მიმართულებით თანამშრომლობა შემდეგ უცხოურ პარტნიორებთან: ზრაგანჩას უნივერსიტეტი, კაუნასის უნივერსიტეტი, ტალინის უნივერსიტეტი, პორტოს უნივერსიტეტი, ბერლინის შტაინბაისის უნივერსიტეტი, ლეიდენის უნივერსიტეტი.

აღნიშნული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს პერსონალის მობილობას და უცხოელ კოლეგებთან გამოცდილების გაზიარების პრაქტიკის დამკვიდრებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ პერსონალთან და სტუდენტებთან
- თვითშეფასების ანგარიში
- თანდართული ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმეტები
- თანდართული მემორანდუმები და თანამშრომლობის თანმხობის წერილები
- უნივერსიტეტის ვებ-გვედრზე განთავებული შესაბამისი აქტივობების ამსახველი ინფორმაცია

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია კეთილმოწყობილი მცირე და დიდი ზომის აუდიტორიებით, სრულად აღჭრვილი თანამედროვე კომპიუტერული რესურს-ცენტრით, შეუფერხებელი ინტერნეტმომრაგებით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში თავმოყრილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სახელმძღვანელოები და სამეცნიერო ლიტერატურა, ისევე როგორც უზრუნველყოფილია წვდომა ისეთ სამეცნიერო ბაზებთან როგორებიცაა: The Economist, MIT - Technology-Review, Harvard Business Review, MIT Sloan Management Review, Scopus, ScienceDirect, Scival Funding (Funding Institutional), EBSCO, Cambridge University Journals, Royal Society Journals Collection, SAGE Premier, Edward Elgar Publishing, IMechE Journals, e-Duke Journals Scholarly Collection, Openedition Journal. ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ პანდემიურ პირობებში სასწავლო პროცესის

შეუფერხებლად განხორციელებისათვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებისათვის უზრუნველყოფს სასწავლო მასალებთან როგორც ონლაინ წვდომას ასევე ბიბლიოთეკიდან ბეჭდური წიგნის გატანის შესაძლებლობას მოქმედი რეგულაციების სრული დაცვით. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ასევე უზრუნველყოფს აკადემიური, მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებას საბიბლიოთეკო რესურსების განახლების პროცესში. უნივერსიტეტი აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი უსაფრთხოების დაცვის შესაბამისი სისტემით. უნივერსიტეტში მოქმედებს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური და განთავსებულია სამეთვალყურეო კამერები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები; • ბიბლიოთეკის აუდიოვიზუალური ტური; • პროგრამის შემოწმების დროს გამოთხოვილი მასალები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი ბიუჯეტის დოკუმენტი და ჩატარებული ინტერვიუები ცხადყოფს, რომ პროგრამის ბიუჯეტი თანხვედრაშია მის საჭიროებებთან. ცალკე გამოყოფილი ბიუჯეტის პარალელურად პროგრამისთვის ასევე ხელმისაწვდომია საუნივერსიტეტო საბიუჯეტო თანხები და კვლევითი ცენტრის ფარგლებში არსებული დაფინანსების სქემები, რაც ეკონომიკურად მიღწევადია და უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებული ინტერვიუები; ○ სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებაში არსებობს შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმი, სადაც განსაზღვრულია პროგრამაში ჩართული პერსონალის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობის პრინციპები/მეთოდები. ხარისხის შეფასება ხორციელდება სისტემატურად და კომპლექსურად და მოიცავს დაწესებულების საქმიანობის ყველა მიმართულებას: გეგმიური შიდა შემოწმებები ტარდება ყოველწლიურად და წარმოადგენს დაწესებულების თვითშეფასების შემადგენელ ნაწილს. შიდა შემოწმების შეჯამების პერიოდი არის კალენდარული წლის ბოლო კვარტალი. შემოწმებების მოცულობა მოიცავს დაწესებულების საქმიანობის ყველა ძირითად პროცესს და ითვალისწინებდეს წინა შემოწმებების შედეგებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა რექტორთან შეთანხმებით შეიძლება ჩაატაროს დაწესებულების ან კონკრეტული ასპექტ(ებ)ის არაგეგმიური შემოწმება (მონიტორინგი).

საგანმანათლებლო საქმიანობის მიმართულებით შიდა შემოწმებას/შეფასებას ექვემდებარება: საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება, განხორციელება და მართვა; განათლების შინაარსი; საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეები; საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით (ადამიანური, ფინანსური, მატერია ლურ-ტექნიკური, სხვ.) უზრუნველყოფა და სხვ. პროგრამის შიდა ხარისხის შეფასების პროცესში ჩართულები არიან პროგრამის განმახორციელებლები და ყველა სტურუქტურული ერთეული,

რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას ან მის მხარდაჭერას.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება როგორც შიდა მონიტორინგი, ასევე, დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების, მოლოდინებისა და კმაყოფილების შესწავლა, რაც ხდება გასაუბრების, გამოკითხვის გზით ან ე.წ. „ნდობის ყუთის“ მეშვეობით. გამოკითხვები ტარდება ელექტრონული ფორმით ან გამოყენებულია ამონაბეჭდი ანკეტები. პროგრამის პერსონალი და სტუდენტები აფასებენ პროგრამას, პროგრამის განხორციელებას და სხვ., ასევე, სტუდენტები აფასებენ პროგრამის პერსონალს.

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულება იყენებს "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე" (PDCA) პრინციპს: 1) დაგეგმვა - ყოველწლიურად განისაზღვრება შესასწავლი ასპექტები და ვადები/პერიოდი; 2) განხორციელება - შეისწავლება დაწესებულებაში რეალურად მიმდინარე და დაგეგმილი პროცესების/აქტივობების თანხვედრა და არსებული საჭიროებები, ხდება ინსტრუქციების, წესების, მეთოდოლოგიური დოკუმენტების, ფორმების და სხვ. შეიმუშავება; 3) შემოწმება/შეფასება-მოიცავს საკუთრივ შემოწმების/შეფასების პროცესს, მათ შორის: შიდა შემოწმების თანამიმდევრობის დაცვით შესამოწმებელი/ შესაფასებელი ობიექტის შემოწმება დადგენილი შეფასების კრიტერიუმების, შეფასების პროცედურის დაცვით, შემოწმების შედეგების განხილვას და სხვ. 4) რეაგირება - ეს ეტაპი მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზს - ძლიერი მხარეების აღნიშვნას, აღმოჩენილი შეუსაბამობების აღწერას, შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბებას, რეკომენდაციების შემუშავებას და წერილობითი ფორმით მომზადებას; შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების და მათი შესრულების ვადების განსაზღვრას, შემოწმების სუბიექტის ინფორმირებას და უკუკავშირს, დადგენილ ვადებში დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების შემოწმებას და მიღწეულ შედეგების შეფასებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აჯამებს ჩატარებული შემოწმებების შედეგებს და ასახავს როგორც შუალედურ, ისე დაწესებულების ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშში.

აკრედიტაციის მიზნით წადგენილი პროგრამა წარმოადგენს ახალ პროგრამას და ამ ეტაპზე არ ხორციელდება. განხორციელებულია პროგრამის შიდა შეფასება და წარმოდგენილია პროგრამის შიდა შეფასების დოკუმენტი, რომელიც მოიცავს:

1. ზოგადი ინფორმაციას პროგრამის შესახებ (თეორიული საფუძვლები, პროგრამის აგების ალგორითმი, პროგრამა როგორც ერთიანი სისტემა), 2. “უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებტან და სახელმძღვანელო პრინციპებთ (ESG)-2015”-თან პროგრამის შესაბამისობას, 3. თუნინგის ძირითადი კითხვებს პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შენარჩუნებისა და შეფასებისათვის 4. თუნინგის კურიკულუმის შემოწმების ფორმას, 5. სილაბუსების შემოწმებას, 6. კურიკულუმის შემოწმებას, 7. ინფორმაციას პროგრამის გაუმჯობესების პრინციპების შესახებ („ხარისხის განვითარების დინამიური წრე“, ISO 9001:2015 და მუდმივი გაუმჯობესების ციკლი (PDCA) როგორც ხარისხის გაზრდის მექანიზმი, SWOT ანალიზი), 8. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა.

მისასალმებელ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ დაწესებულებაში არსებული პრაქტიკის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებასთან ერთად მოიცავს ESG-2015-ის, თუნინგის და ISO 9001:2015 მიდგომების საფუძველზე განხორციელებულ შეფასებასაც
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (ამონარიდი შემდეგი ძირითადი დოკუმენტებიდან: ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, დაწესებულების ვეგ- გვერდი - დაწესებულების ვებგვერდი: https://btu.edu.ge/ka/chven-shesakheb/khariskhis-uzrunvelyofa); • ხარისხის უზრუნველყიფის სახელმძღვანელო https://btu.edu.ge/ka/chven-shesakheb/maregulirebeli-dokumentebi; • დაწესებულების ვებგვერდი: https://btu.edu.ge/ka/chven-shesakheb/khariskhis-uzrunvelyofa; • პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; • პროგრამის შიდა შეფასების დოკუმენტი; • სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის დოკუმენტი; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზის დოკუმენტი; • სასწავლო პროცესისა და ცალკეული სასწავლო კურსის შესახებ სტუდენტთა გამოკითხვების შედეგების ანალიზის დოკუმენტები; • ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • დაწესებულებაში არსებული პრაქტიკის მიხედვით საგანმანათლებლო

პროგრამების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებასთან ერთად მოიცავს ESG-2015-ის, თუნინგის და ISO 9001:2015 მიდგომების საფუძველზე განხორციელებულ შეფასებასაც.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის გარე შეფასებას წარმოადგენს დარგის სპეციალისტების, დამსაქმებლების და უცხოეთის უსდ-ების უკუკავშირი პროგრამის კონცეფციასა და სტრუქტურაზე.

უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მიღებულია შემდეგი კოლეგიალური შეფასებები:

1. პროფესორი ბარტ ქასტერსი, ლეიდენის (ნიდერლანდები) უნივერსიტეტის სამართლისა და მონაცემთა მეცნიერების კათედრის გამგე, სამართლის ფაკულტეტის სამართლის და ციფრული ტექნოლოგიების ცენტრის დირექტორი- მიაჩნია, რომ პროგრამა ძალზედ საინტერესო და ინფორმატიულია, ეს არის მზარდი დარგი და მსოფლიოში ცოტაა მსგავსი პროგრამები. ეს პროგრამა მომავალში წარმოაჩენს უნივერსიტეტს მსოფლიო რუკაზე.

2. პროფესორი ტანელ კერეკმაე, ტალინის (ესტონეთი) ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სამართლის დეპარტამენტის დირექტორი - სრულად მხარს უჭერს პროგრამის მიზნებსა და აქტივობებს, რომელიც წარმოდგენილია პროგრამის აღწერილობაში.

3. პროფესორი გიორგი ხუბუა, ბერლინის (გერმანია) შტაინბაისის უნივერსიტეტის

კვლევების მიმართულების პრეზიდენტი - სრულად მხარს უჭერს პროგრამის მიზნებსა და აქტივობებს. მისი აზრით, ეს უნიკალური პროგრამა გააძლიერებს კავშირს სახელმწიფო ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტს შორის, შეავსებს არსებულ დაშორებას საჯარო პოლიტიკის მიმართულებით განათლებასა და ხელოვნურ ინტელექტს შორის.

4. გარე შეფასება ასევე განხორციელებულია დამსაქმებლის მიერ, კერძოდ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მრჩევლის, პროფესორ ჯემალ ფუტკარაძის მიერ.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, დაწესებულებას გაფორმებული აქვს შესაბამისი მემორანდუმები და მიღებული აქვს მხარდაჭერის წერილები დასახელებულ პროგრამაზე კორუნას უნივერსიტეტიდან (ესპანეთი), პორტოს უმაღლესი საინჟინრო (ISEP) ინსტიტუტიდან (პორტუგალია), ბრაგანჩას პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან (პორტუგალია) და კაუნასის ტექნოლოგიების უნივერსიტეტებიდან (ლიტვა).

პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან ინტერვიუს დროის გაირკვა, რომ პროგრამის აგრე შეფასების მიზნით დაწესებულების აპრტნიორებს გაეგზავნათ პროგრამის კურიკულუმი და კონცეფცია. შემდეგ შედგა მათთან კომუნიკაცია პროგრამის უცხოურ ანალოგებთან შედარების მიზნით. გარე შემფასებლები შემოიფარგლენ პროგრამის მოკლე დახასიათებით, დაწესებულებამ მათგან მიიღო ზოგადი რჩევები. მომავალში, როცა პროგრამა ამოქმედდება, მათი ჩართულობა იქნება უფრო ინტენსიური,

გარე შეფასების დოკუმენტები არის მოკლე და ზოგადი შინაარსის მქონე. გარე შეფასების დოკუმენტები და მხარდაჭერის წერილები ხაზს უსვამენ პროგრამის უნიკალურობას, აქტუალობას და თანამედროვე საგანმანათლებლო საჭიროებებთან შესაბამისობას. სასურველი იქნებოდა, გარე შეფასების ამსახველი დოკუმენტი უფრო მეტ და დეტალურ ინფორმაციას იძლეოდეს პროგრამის მიზნის, შედეგების, სწავლა/სწავლების მეთოდების, სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მეთოდების, სასწავლო და კვლევითი კომპონენტის შეფასების შესახებ.

სასურველი იქნება, თუ დაწესებულება მომავალში შეიმუშავებს უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და დამსაქმებლებიდან მისაღები გარე შეფასების ერთიან სტანდარტულ ფორმას საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, შედეგების, სწავლა/სწავლების მეთოდების, შეფასების მეთოდებისა და პროგრამის კომპონენტების დეტალური შეფასების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყიფის სახელმძღვანელო https://btu.edu.ge/ka/chven-shesakheb/maregulirebeli-dokumentebi;

• უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მიღებული გარე შემფასებლების მიერ წარმოდგენილი შეფასებები; • უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდა მიღებული პროგრამის მხარდაჭერის წერილები, მათთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები; • დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი შეფასება; • ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და დამსაქმებლებიდან მისაღები გარე შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების

ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებაში მოქმედებს პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების საკითხების მარეგულირებელი საერთო წესი, კერძოდ, ამ საკითხებს არეგულირებს ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო და საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. პროგრამის/ცვლილებების პროექტი ფასდება შემუშავების დასრულებისთანავე, ხოლო შემდგომ - პროგრამის განხორციელების პერიოდში ყოველწლიურად.

პროგრამის მონიტორინგის სისტემის შემადგენელი კომპონენტები შემდეგია: 1) სტუდენტების აკადემიური მოსწრების შედეგების შესწავლა, რომლის მიზანია შედეგების დინამიკის, საგანმანათლებლო პროცესის შედეგიანობის კონტროლი; 2) პროგრამის შესახებ ინფორმაციის (პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შემადგენლობა და კვალიფიკაცია, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის დინამიკა, სხვ.) შეგროვებია და ანალიზი; 3) „დასაწყისი-დასასრული“ მოდელზე აგებული შეფასება, რა დროსაც ხდება პროგრამის სხვადასხვა რაოდენობრივი ინდიკატორების გამოყენება და დინამიკაზე დაკვირვება; 4) დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესწავლა-შეფასება, რომლის მეშვეობით უნდა განისაზღვროს სწავლების ხარისხზე ზემოქმედების მქონე ფაქტორები. შემოწმებას/შეფასებას ექვემდებარება: პროგრამის მოცულობა; პროგრამაზე დაშვების წინაპირობა; პროგრამის მიზნები; პროგრამის სწავლის შედეგები; კურიკულუმის ანალიზი; პროგრამის შინაარსი; სასწავლო კურსი; სამიზნე ნიშნულები; სწავლის შედეგების შეფასება; შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

დაწესებულებაში ხორციელდება დაინტერესებული მხარეების (პროგრამის განმახორციელებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) მოლოდინების და დამოკიდებულებების შესწავლა მოლოდინებისა და დამოკიდებულებების შესწავლა (გამოკითხვები/გასაუბრებები/შეხვედრები).

დაწესებულება ახორციელებს მთლიანად პროგრამის და მისი თითოეული კომპონენტის დონეზე დაგეგმილი შედეგების მიღწევის და პროგრამის დაძლევის სისტემატური შემოწმებას (შეფასების როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებით) და დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან შედარება, შედეგების ანალიზი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ყოველწლიურ SWOT-ანალიზს ადგენს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც SWOT ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა მიზანია არსებული დადებითი/ძლიერი მხარეების შენარჩუნება და გაუმჯობესება, სუსტი მხარეების აღმოფხვრა/ მინიმუმამდე დაყვანა, არსებული შესაძლებლობების გამოყენება, შესაძლო საფრთხეების სწორად შეფასება და შესაძლო რისკების მინიმუმამდე დაყვანა. პროგრამის შეფასებას და SWOT ანალიზს პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით განიხილავს ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც იღებს

შესაბამის გადაწყვეტილებებს. დაწესებულებაში გეგმიური კონტროლი/თვითშეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ-ივნისში და დეკემბერში. თვითშეფასების ჯგუფში სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ჩართული არიან დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები და სტუდენტები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და განვითარების მეთოდოლოგია; • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (მათ შორის, შიდა შეფასება, გამოკითხვის ფორმები, ჩატარებული გამოკითხვები); • ხარისხის უზრუნველყიფის სახელმძღვანელო https://btu.edu.ge/ka/chven-shesakheb/maregulirebeli-dokumentebi; • პერსონალის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმანობის შეფასების დოკუმენტი; • დაწესებულების ვებ-გვერდი: https://btu.edu.ge/ka/chven-shesakheb/khariskhis-uzrunvelyofa • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • პროგრამის განმახორციელებლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვები და გამოკითხვის შედეგების ანგარიშები; • დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებების/კმაყოფილების კვლევის ანგარიშები; • პარტნიორი დაწესებულების (დამსაქმებლების) აზრის შესწავლის მიზნით განხორციელებული კვლევის ანგარიში; • სასწავლო კურსების კვლევის ანგარიშები; • ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან; • ინტერვიუ ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან; • ინტერვიუ სტუდენტებტან და კურსდამთავრებულებთან; • ინტერვიუ დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი, დოქტორანტურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 55

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>
სახელი, გვარი, ხელმოწერა:
ნინო დოლიძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>
სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნანა არაბული

სახელი, გვარი, ხელმოწერა
ია ნაცვლიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა
ნინო ფარსადანიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა
ლაშა ლალიაშვილი